# ხელშეკრულება №37

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი ნოემბერი, 2020 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი - (შემდგომში – "შემსყიდველი"), მისი სამხატვრო ხელმძღვანელის, ვახტანგ კახიძის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. "ორგსერვისი" (შემდგომში – "მიმწოდებელი"), მისი დირექტორის - ხვიჩა ნემსაძის სახით ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე - 3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ პრიმა ქვეპუნქტის თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## *1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები*

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება")-შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. "დღე","კვირა","თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. "შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. "მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

## *2. ხელშეკრულების საგანი*

**2.1.** ხელშეკრულების საგანია საბეჭდი ქაღალდის (ქაღალდი ქსეროქსის A3 80 გრ. 500ფ. JK) (CPV - 30197630) (2 ცალი X 22.00 ლ. = 44.00ლ.) და საკანცელარიო ნივთების (სკოჩი გამჭვირვალე 45 მმ. 300მ) (CPV - 30192000) (5 ცალი X 7.00 ლ. = 35.00ლ.) მიწოდების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით.

## *3. ხელშეკრულების ღირებულება*

**3.1.** შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
**3.2.** შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს – 79 (სამოცდაცხრამეტი)

ლარს. მათ შორის დ.ღ.გ. - 12.05 ლ.

## *4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

**4.1**. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## *5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები*

**5.1**. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა არის 2020 წლის 15 ნოემბერი.
**5.2**. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. 86/90.
**5.3**. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

## *6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

**6.1**. შესყიდვის ობიექტის მიღება დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.
**6.2**. შემსყიდველის მხრიდან  მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი – ვახტანგ კახიძე.

## *7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

**7.1**. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
**7.2**. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.
**7.3**.  ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

## *8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

**8.1**. "შემსყიდველს" უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
**8.2**. "შემსყიდველი" ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
**8.3**. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოთხოვოს "შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
**8.4**. მიმწოდებელი ვალდებულია:
- მოახდინოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

## *9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

**9.1.** მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
**9.2**. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა), თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
**9.3**. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
**9.4**. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილების შემთხვევაში შეიძლება დაეკისროს პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

## *10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

**10.1.** ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2020 წლის 20 დეკემბერი.

## *11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა*

**11.1.** ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
**11.2.** თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## *12. ფორს-მაჟორი*

**12.1.** მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს

შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
**12.2.** თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
**12.3.** მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## *13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

**13.1.** ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
**13.2.** თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

## *14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

**14.1.** "შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და "შემსყიდველი"-ს მოთხოვნებთან.
**14.2.** ხელშეკრულების ინსპექტირებას "შემსყიდველი"-ს მხრიდან განახორციელებს – მამუკა კაპანაძე, ცენტრის მთავარი ინჟინერი.
**14.3.** მიმწოდებელი პასუხს აგებს შესყიდვის ობიექტის ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან 1 დღის განმავლობაში, და თუ ამ პერიოდში აღმოჩნდება, რომ მომსახურება უხარისხოა (წუნდებული) მიმწოდებელი ვალდებულია 2 დღეში გამოასწოროს წუნი.
**14.4.** გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *15. სხვა პირობები*

**15..1** მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
**15.2.** არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
**15.3.** მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
**15.4.** ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია ელექტრონულად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს

ქართულ ენაზე.
**15.5**. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის შედგენილი და ელექტრონულად ხელმოწერილი იქნება მხარეთა მიერ.

## *16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

| **შემსყიდველი:** | **მიმწოდებელი:** |
|---|---|
| სსიპ ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი | შპს "ორგსერვისი"<br>ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. №86/90<br>ტელ.: 204 11 00 |
| სახელმწიფო ხაზინა<br>ხაზინის ერთიანი ანგარიში<br>ს / კოდი: 202055319 | პროკრედიტ ბანკი, საქართველო;<br>MIBGGE22/GE28 PC01 3360 0100 0677 22<br>ს/კ.: 212 693 851 |
| ვახტანგ კახიძე | ხვიჩა ნემსაძე |
| სამხატვრო ხელმძღვანელი | დირექტორი |